№1792 2015 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

„2015 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №1109 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „2015 წელს განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის შემდგომი გამოყენების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №1109 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა) განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი, შემდეგი რედაქციით:

„გ) ივლისში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ჩემი პირველი კომპიუტერი“ პროგრამის ასიგნებები) გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომია შეადგენს 7 115 238.45 ლარს (შვიდი მილიონ ას თხუთმეტი ათას ორას ოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) (დანართი №3).“;

ბ) განკარგულებას დაემატოს დანართი №3 თანდართული რედაქციით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2015 წლის 26 აგვისტოს
№1792 განკარგულების
დანართი №3

ლარებში

დასახელება	**წარმოქმნილი ეკონომია**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	7,115,238.45
სულ	**7,115,238.45**